

**საქართველოს პრეზიდენტის
2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი**

<p>მეორე ტურის დანიშვნის დღიდან</p>	<p>14 ნოემბერი ოთხშაბათი</p>	<p>მეორე ტურისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებებს ახორციელებენ პირველი ტურისთვის შექმნილი შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიები, ასევე ცესკოს მიერ შექმნილი დროებითი ჯგუფები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადა აითვლება მეორე ტურის დანიშვნის დღიდან, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმის შედგენის დღის ჩათვლით (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p>
<p>მეორე ტურის დანიშვნის დღის მომდევნო დღე</p>	<p>15 ნოემბერი ხუთშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), ცესკოს გადასცემს საქართველოს იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებსაც 2018 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ მეორე ტურის გამართვის დღისთვის შეუსრულდებათ 18 წელი (ცესკოს დადგენილება №52/2018) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იმ პირთა სიას, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან, ადგენს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და გადასცემს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიას (ცესკოს დადგენილება №52/2018) საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან, ადგენს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი და გადასცემს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიას (ცესკოს დადგენილება №52/2018) საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას, რომელთა სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს არჩევნების დღეს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, ადგენენ შესაბამისი სამხედრო დანაყოფების/ნაწილების მეთაურები ან შესაბამისი დაწესებულებების/დანაყოფების ხელმძღვანელები და გადასცემენ ცესკოს (ცესკოს დადგენილება №52/2018) საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ცესკოს უნდა გადმოსცეს ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების მონაცემები (ცესკოს განკარგულება №189/2018)
<p>მე-12 დღიდან</p>	<p>16 ნოემბერი პარასკევი</p>	<ol style="list-style-type: none"> საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სამხედრო მოსამსახურეთა და სპეცჯგუფის წევრთა მონაცემების საფუძველზე ცესკოს მიერ დგება სპეციალური სიები (ცესკოს განკარგულება №189/2018) იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. თუ ასეთი

		ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს (31-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები)
არაუგვიანეს მე-11 დღისა	17 ნოემბერი შაბათი	სპეცჯგუფის შემადგენლობაში შესაბამისი უფლებამოსილი პოლიტიკური გაერთიანებების მიერ სპეცჯგუფის წევრების დანიშვნის ბოლო ვადა. თუ უფლებამოსილი პარტიები ამ ვადაში არ დანიშნავენ სპეცჯგუფის წევრებს, ცესკოს უფლება აქვს შეავსოს შესაბამისი ვაკანსია (ცესკოს განკარგულება №189/2018)
არაუგვიანეს მე-10 დღისა	18 ნოემბერი კვირა	პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ "პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პრობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ" ცესკოს 2012 წლის 13 ივლისის №75/2012 განკარგულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა და მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით (ცესკოს განკარგულება №75/2012)
არაუგვიანეს მე-9 დღისა	19 ნოემბერი ორშაბათი	იმართება სპეცჯგუფის პირველი სხდომა, რომელსაც იწვევს ცესკოს თავმჯდომარე (ცესკოს განკარგულება №189/2018)
არაუგვიანეს 8 დღისა	20 ნოემბერი სამშაბათი	პენიტენციურ დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, უნდა გამოყოფონ ადგილები ფლაიერების/ბუკლეტების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განსათავსებლად (ცესკოს განკარგულება №75/2012)
არაუადრეს მე-8 დღიდან	20 ნოემბერი სამშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, ხორციელდება მათი ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით - ბუკლეტებისა და ფლაიერების საშუალებით, საარჩევნო სუბიექტებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების შესახებ - საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების/საარჩევნო პლაკატებისა და საარჩევნო პროგრამების საშუალებით (ცესკოს განკარგულება №75/2012) (საწყისი ვადა) 2. საარჩევნო სუბიექტები პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ სააგიტაციო მასალებს. შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას ეკისრება პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული ბუკლეტების/ფლაიერების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განთავსებაზე (ცესკოს განკარგულება №75/2012) 3. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც საარჩევნო უბანი არ გაიხსნება, ბეჭდვითი მასალების/ინფორმაციის განთავსება შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენის გზით, რომელთა წარდგენიდან არა უგვიანეს 2 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მის მიერ უფლებამოსილი პირი, პირადად განათავსებს მათ პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყოფილ ადგილებს ან/და სტენდებზე. საოლქო საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილებზე განთავსებისათვის (ცესკოს განკარგულება №75/2012)
არაუგვიანეს მე-5 დღისა	23 ნოემბერი პარასკევი	<ol style="list-style-type: none"> 1. უფლებამოსილ პარტიებს შეუძლიათ დანიშნონ/შეცვალონ/გამოიწვიონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (ცესკოს დადგენილება №52/2018) (ბოლო ვადა) 2. რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რეგისტრაციაში გასატარებლად, უფლება აქვთ, დამკვირვებელთა დამატებითი სიები წარუდგინონ შესაბამისი საარჩევნო კომისიების მდივნებს (ცესკოს დადგენილება №52/2018) (ბოლო ვადა) 3. რეგისტრირებულ მედია ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მედიის წარმომადგენელთა

		<p>აკრედიტაციისათვის დამატებითი სიები, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით წარუდგინონ შესაბამისი საარჩევნო კომისიების მდივნებს (ცესკოს დადგენილება №52/2018) (ბოლო ვადა)</p> <p>4. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში (31-ე მუხლის მე-14 პუნქტი)</p> <p>5. საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეჰყავს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)</p>
არაუგვიანეს მე-4 დღისა	24 ნოემბერი შაბათი	საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ ¹ “ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას, რომლებიც კენჭისყრის დღეს ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებიან, ადგენს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი და გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (ცესკოს დადგენილება №52/2018)
მე-4 დღიდან	24 ნოემბერი შაბათი	<p>1. აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება (30-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>2. აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p>
არაუგვიანეს მე-3 დღისა	25 ნოემბერი კვირა	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დგება სპეციალური სია (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p> <p>2. არჩევნების მეორე ტურის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p> <p>3. საარჩევნო სუბიექტისათვის წარმომადგენლის დაფინანსების ჩარიცხვის ბოლო ვადა (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p>
არაუგვიანეს მე-2 დღისა	26 ნოემბერი ორშაბათი	<p>1. ცესკოს მიერ დამოწმებული ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების (ერთიანი და სპეციალური) საბოლოო ვერსიის 2 (კომისიისათვის განკუთვნილი და საჯარო ვერსია) ეგზემპლარი გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიებს. საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნილებული ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის (კენჭისყრის) შენობაში თვალსაჩინო ადგილას (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p> <p>2. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ცესკოს დადგენილება №52/2018)</p> <p>3. საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას (33-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>4. ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს (63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)</p>
მე-2 დღეს	26 ნოემბერი ორშაბათი	ავღანეთში განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური. კენჭისყრა იმართება კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით (საჭიროების შემთხვევაში ამომრჩეველმა შეიძლება ხმა მისცეს 20 საათის შემდეგაც საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით). გადასატანი საარჩევნო ყუთი უბანში შეიძლება დაბრუნდეს 20 საათის შემდგომ. სპეცგუფი უფლებამოსილია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა

		სპეციალურ სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა. 26 ნოემბერს ფორს-მაჟორული გარემოებების შესაძლო მოვლენების (ქვიშის ქარიშხალი, არასაფრენი ამინდი, აფეთქება და სხვა გართულებული სამხედრო გარემოებები) დადგომის შემთხვევაში, კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს ამ გარემოებების აღმოფხვრიდან მომდევნო დღეს, მაგრამ არაუგვიანეს 28 ნოემბრისა (ცესკოს განკარგულება №189/2018)
მე-2 დღიდან	26 ნოემბერი ორშაბათი	დილის 8 საათის შემდეგ აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი) (საწყისი ვადა)
არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღისა	27 ნოემბერი სამშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 20 საათამდე საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს (63-ე მუხლის მე-9 პუნქტი) პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, ხორციელდება მათი ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით - ბუკლეტებისა და ფლაიერების საშუალებით, საარჩევნო სუბიექტებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების შესახებ - საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების/საარჩევნო პლაკატებისა და საარჩევნო პროგრამების საშუალებით (ცესკოს განკარგულება №75/2012) (ბოლო ვადა)
კენჭისყრის წინა დღე	27 ოქტომბერი შაბათი	აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა (42-ე მუხლის მე-6 პუნქტი)
არჩევნების დღე	28 ნოემბერი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია (45-ე მუხლის მე-11 პუნქტი) აკრძალულია პარტიის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (მე-19 მუხლის 6¹ პუნქტი) აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (29-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №52/2018) აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა (42-ე მუხლის მე-6 პუნქტი) აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში (51-ე მუხლის მე-16 პუნქტი) აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის 20 საათამდე, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი) (ბოლო ვადა) კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია (58-ე მუხლის მე-6 პუნქტი) კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, აგრეთვე საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირს, საარჩევნო პროცესისათვის/საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეოგადაღება ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება, ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც საარჩევნო კოდექსის შესაბამისად არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით. (მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი, ცესკოს დადგენილება №42/2012) 7 საათზე იხსნება საარჩევნო უბანი და ტარდება კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები (61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)

- 10.8 საათზე იწყება კენჭისყრა კენჭისყრის შენობაში (61-ე მუხლის მე-11 პუნქტი)
11. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი)
 12. გადასატანი საარჩევნო ყუთის მემშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა (66-ე მუხლის პირველი პუნქტი)
 13. საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით კენჭისყრის დღეს მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა). შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს (31-ე მუხლის მე-12 პუნქტი)
 14. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში (65-ე მუხლის მე-6 პუნქტი)
 15. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას (65-ე მუხლის მე-8 პუნქტი)
 16. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობაში შეაქვთ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და საარჩევნო დოკუმენტაცია (65-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
 17. კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი)
 18. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს (71-ე მუხლის მე-14 პუნქტი)
 19. ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსის 71-ე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ოქმის საჯაროობა, მათ შორის, მისი დაუყოვნებლივ ცესკოს ვებგვერდზე განთავსებით; ამასთანავე, თუ საარჩევნო უბნის შედეგები გასაჩივრებულია სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცესკო ვალდებულია ოფიციალური შეტყობინებისთანავე გააკეთოს სათანადო აღნიშვნა ვებგვერდზე განთავსებულ შესაბამის ოქმზე (76-ე მუხლის მე-8 პუნქტი)
 20. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე (76-ე მუხლის მე-4 პუნქტი)
 21. ავღანეთში განლაგებულ, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში კენჭისყრის გამართვის ბოლო ვადა

		(ცესკოს განკარგულება №189/2018)
არა უგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა	29 ნოემბერი ხუთშაბათი	<ol style="list-style-type: none"> საუბნო საარჩევნო კომისია, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველების არსებობისას (26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (ცესკოს დადგენილება №52/2018)
კენჭისყრის დღის მომდევნო დღიდან	29 ნოემბერი ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (71-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-11 დღისა	9 დეკემბერი კვირა	<p>საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, ადგენს საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2² პუნქტითა და 67-ე მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტო-ასლები) ერთად გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-10 პუნქტი) საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი, 7 დღის ვადაში, გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მას და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-11 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-12 დღისა	10 დეკემბერი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ცესკოსთვის გადაცემის ბოლო ვადა (75-ე მუხლის პირველი პუნქტი)
არაუგვიანეს მე-18 დღისა	16 დეკემბერი კვირა	<ol style="list-style-type: none"> საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2² პუნქტითა და 67-ე მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტოასლები) ერთად გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-10 პუნქტი) (ბოლო ვადა) საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მას და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-11 პუნქტი) (ბოლო ვადა) საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ საარჩევნო

		კოდექსით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-20 დღისა	18 დეკემბერი სამშაბათი	<p>ცესკო თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს (104-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით არჩევნების შედეგების შესახებ ცნობას და მას არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, ხოლო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს შედგენისთანავე აქვეყნებს თავის ვებგვერდზე და გადასცემს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას 2 დღის ვადაში აქვეყნებს (76-ე მუხლის მე-7 პუნქტი) ➤ არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ”ვ“ ქვეპუნქტი)
არაუგვიანეს მე-22 დღისა	20 დეკემბერი ხუთშაბათი	„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს (76-ე მუხლის მე-7 პუნქტი) (ბოლო ვადა)
არაუგვიანეს 27-ე დღისა	25 დეკემბერი სამშაბათი	პარტია ვალდებულია ცესკოს წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საბოლოო შესრულების შესახებ (56-ე მუხლის მე-6 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი)
არაუგვიანეს 30-ე დღისა	28 დეკემბერი პარასკევი	საოლქო საარჩევნო კომისია წყვეტს ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან ყოველგვარ ანგარიშსწორებას და 10 დღის ვადაში სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ამ ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)
არაუგვიანეს 35-ე დღისა	2 იანვარი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი) 2. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (46-ე მუხლის მე-8 პუნქტი) 3. საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საარჩევნო სუბიექტს, ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, ანგარიშზე ერიცხება თანხა საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად (56-ე მუხლის მე-3 პუნქტი)
არაუგვიანეს 37-ე დღისა	4 იანვარი პარასკევი	მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, თუ პარტიამ საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად გამოყოფილი თანხა სრულად არ ათვისა (56-ე მუხლის მე-6 პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი)

არაუგვიანეს მე-40 დღისა	7 იანვარი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. საოლქო საარჩევნო კომისია სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ამ ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი) 2. ცესკო დაამუშავებს საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ, საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებს და თითოეული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტს ქმნის: ყოველი დოკუმენტი შეიცავს ჩანაწერთა წიგნის სათანადო გვერდის დამოწმებულ ასლს და თანდართულ შესაბამის დოკუმენტებს (76-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
არაუგვიანეს 45-ე დღისა	12 იანვარი შაბათი	ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ, დამუშავებულ საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებს (ჩანაწერთა წიგნის სათანადო გვერდის დამოწმებულ ასლს და თანდართულ შესაბამის დოკუმენტებს) გადასცემს სააგენტოს, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს ისინი შესაბამის პირთა ვინაობის გადასამოწმებლად (76-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
არა უგვიანეს 52-ე დღისა	19 იანვარი შაბათი	საარჩევნო სუბიექტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი)
არაუგვიანეს 54-ე დღისა	21 იანვარი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-80 დღისა	16 თებერვალი შაბათი	ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი) (ბოლო ვადა)